წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. შაბათი 2 ივლისი

სამშობლო

№ 394

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ [illegible] პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის [illegible] ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ალექსის ძე ჭიჭინაძე და ანნა გიორგის ასული ჭიჭინაძისა, ძენი და ასულნი მათი: დიმიტრი, თამარ, ნინო, ვერა, ალექსი, ნონა, სირა და ვახტანგი მწუხარებით გულდაჭრილნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 29 ივნისს, დილით გარდაიცვალა პირველთა საყვარელი ასული, ხოლო მეორეთა და—ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფე

ანგელინა.

პანაშვიდები საღამოს 6½ საათზე, გასვენდება შაბათს, 2 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, (ძველი თბილისის ქუჩა, საკუთარი სახლი) საფიჩხიის სასაფლაოზე. 2—2

იაკობ, ანდრიანე პავლეს ძენი კოსტავები და ალექსანდრა პავლეს ასული ჭიჭინაძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 2 ივლისს მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი საყვარელი ბიძის

გიორგი ბეროს ძის კოსტავას

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები იულო მაქსიმეს ძე ჩხაიძე და მეუღლე მისი ივლიტე ფირანის ასული, შვილები: ვოლია, ნინა ბარბალე, დათიკო და ვასიკო, ბიძანები: დომენტი ერასტი და პავლე უგრეხელიძეები, ბიძაშვილები: რუბენ, ვანიჩკა და მიშა, დედა მათი მაკრინე გოთუას ასული ჩხაიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ ოდესის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის

შალვა ჩხაიძის

უდროოდ გარდაცვალებას.

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს შვიდ საათზე, საღორიის დაჩა, გორდეზიანის სახლში. გამოსვენება მოხდება კვირას, 3 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავათ.

231 კერძო ბარათები არ დარიგდება. 1—1

ელექტრო „**ამპირ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 30 ივნისიდან ახალი პროგრამა. **გომონის ქრონიკა**, მიმდინარე ამბები.

ულფუს-შურისმაძიებელი.

კინო-რომანი 6 ნაწილად. უმთავრეს როლს გონდონის სამეფო თეატრის მსახიობი ორელ სიდნეი ასრულებს. დეკორაცია ინგლისის ცნობილ მხატვარის მდ. ჯევეის ესკიზების მიხედვით.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საა 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ბებია მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

დ. ლაილაში.

კბილის ექიმი

ანნა პარმენის ასული მგალობლიშვილი

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს.

სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

ექიმი ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ექიმი ი. ჩარკვიანი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით 12½—2 საათ, საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.

მისამართი: ლუდვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც

ბორჯომში

ექიმი სიმონ **ხეჩინოვი** 25 ივანობისთვიდან 25 მარიობისთვემდე მიიღებს ავათმყოფებს **ბორჯომში** (საყდრის ქუჩა № 98).

ელექტრო „**რადიუმ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან 30 ივნისიდან ახალი პროგრამა

ცასხვათა ხეივნის საიდუმლოება.

თანამედროვე დრამა 4 ნაწ. ი. მ. კაზუხინის რომანით, საიმპერატორო მცირე თეატრის მსახიობის ვ. მაქსიმოვის მონაწილეობით და რეჟის. ვ. კ. ტატიშჩევის მიერ დადგმული.

ქმარს ვეძებ ჩემი ცოლისთვის, მხიარული კომედია—ფარსი 2 ნაწ. ცნობილ მსახიობის კამილლო დე რიზოს და სხვათა მონაწილეობით

მსოფლიო ომი.

დეპეშები.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 29 ივნისი. ჩვენმა არტილერიამ გაჰფანტა გერმანელები, რომელნიც ცდილობდენ არტილერია წინ წამოეწიათ იქსკიულის ხიდის საფარის წინააღმდეგ. სოფ. ჩერკასთან საარტილერიო ცეცხლის შემწეობით გერმანელები საიერიშოდ წამოვიდენ, მაგრამ ჩვენ კონტრიერიშით მოვიგერიეთ. მდ. სტოხოდზე საარტილერიო ბრძოლაა. სოფ. კაშოვკასთან მტერი ეცადა სტოხოდს დაახლოვებოდა, მაგრამ სროლით უკუვაქციეთ.

რიგიდან პოლესიემდე მხოლოდ საარტილერიო და თოფის სროლაა. მტრის მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სადგურ ზამირეის და ქ. ნესიჟს, სადაც რამდენიმე სახლი დაიწვა. მდ. სტოხოდზე მკაცრი ბრძოლები გრძელდება. სოფ გრუშევკასთან (გულევიჩის ჩრდილოეთითაა) მტერი ერთხელ იერიშზე გადმოვიდა. აქ დავატყვევეთ 28 აფიცერი, 745 ჯარის კაცი.

ბალტიის ზღვა.

ჩვენმა ნაღმოსნებმა ბოტნიკის ყურეში გერმანელთა ორი დიდი გემი შეიპყრეს. ერთი მათგანი მადანით იყო დატვირთული, ხოლო მეორე ცარიელი. ნაღმოსნებმა გემი ჩვენს ნავსადგურში მოიყვანეს.

კავკასიის ასპარეზი.

არზრუმის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა უკუ აქცია ოსმალონი და ბრძოლით დაიპყრო ქ. მამახათუნი. მტერმა უკან დახევისას ქალაქს ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლის ჩასაქრობათ ჩვენ ზომები მივიღეთ.

არზრუმის მერედიანის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა კვლავ წინ წაიწია და აიღო მთელი რიგი სიმაგრეებისა. დიდი სიყოჩაღე გამოიჩინა ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა, არზრუმის იერიშის დროს. ბრძოლაში სახელგანთქმულმა. პოლკოვნიკი კვარტოვნიკი, რომელიც 28 ივნისს იერიშს ხელმძღვანელობდა, მოკლულია ტყვეები კვლავ მოყავთ 19 და 25 ივნისამდე ჩვენ დავატყვევეთ სულ 107 ოსმალო აფიცერი, 1684 ასკერი. ხელთ ვიგდეთ. 3 ზარბაზანი, 18 ტყვიისმფრქვეველი და 4 ყუმბარის მტყორცნელი. უკან დახეულ ოსმალებს მრავალი თოფი და სამხედრო მასალა დაუყრიათ.

პარიზი. 29 ივნისი დღის ოფიციალური ცნობა. მდ. სომმის ორივე მხარეს ღამემ მშვიდობიანათ ჩაიარა. სუასონსა და რეიმს შუა პატარა შეტაკება მოხდა სერონის ახლოს, ფრანგებმა რამდენიმე კაცი დაატყვევეს. შამპანში, მეზონდე შამპანის და ვილიუტურბის შუა, ფრანგებმა რამდენიმე მარჯვე იერიში მიიტანეს, მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე ფრანგებმა კონტრიერიშით დაიბრუნეს ნაწილი ფიუმენის ტყისა, რომელიც გერმანელებს უკავიათ. ამასთანავე დაატყვევეს 80 კაცი, მათში 1 აფიცერია. ლოტარინგიაში ერთ ალაგას ფრანგებმა გერმანელები თავის სანგრიდან განდევნეს.

ლონდონი. 29 ივნისი. ათი დღე ღამის განუწყვეტელ ბრძოლის შემდეგ ინგლისელებმა დაიპყრეს გერმანელთა პირველი წყების სიმაგრეთა მთელი სისტემა 14000 იარდის სივრძის ასპარეზზე. სისტემას შეადგენდენ დიდი რიცხვი საბრძოლი და დამხმარე თხრილებისა; სიღრმე სისტემისა 2000—4000 იარდამდე აღწევს; მასში შედიოდენ ძალზე გამაგრებული სოფლები, მრავალი ეკლიანი მავთული, დაცული სანგარი და ბევრი ძლიერი საველე სიმაგრეები. თითო სიმაგრის ასაღებათ საჭირო იყო დიდი ბრძოლა. დღეს ყველა სიმაგრე ჩვენს ხელშია. რაც შეეხება გერმანელების მიერ ტრანნის ტყის აღებას, ექვსი იერიშის შემდეგ, გერმანელებმა მხოლოდ რამდენიმე ხნით ჩაიგდეს ხელში და ძვირადაც დაუჯდათ დღეს თითქმის მთელი ტყე ინგლისელებმა დაიბრუნეს გარდა განაპირა, ჩრდილოეთის ნაწილისა, რომელიც ჯერჯერობით გერმანელებს უკავიათ ხელში. გერმანელთა ბევრი იარაღი დაქცეულ შენობათა ნანგრევებშია მოყოლილი და ამას გარდა ინგლისელებმა ხელთ იგდეს 26 საველე, 1 საზღვაო, 1 საფრენთა სასროლი და ერთი მძიმე ზარბაზანი. ინგლისელებმა 7500 ზე მეტი გერმანელი დაატყვევეს.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

— —

შაპიტრთან ბრძოლა მეტად გამწვავდა. აქ გერმანელებს თავის ხლართებისა და საველე სიმაგრეთა ბოძები რამდენიმე საჟენით მიწაში ქონიათ ჩაფლული. მთელი მიდამო სულ ასაფეთქებელი ნაღმებით არის მოფენილი.

— —

საფრანგეთის ასპარეზზე მდინარე სომმის ნაპირებთან ბრძოლა შესწყდა.

— —

გერმანელებს არ ეგონათ, თუ ინგლის-ფრანგები ასეთის სისწრაფით აწარმოებდენ შემოტევას, გერმანელ ჯარის გასასხნევებლად ვილჰელმს უთქვამს, რომ ნაჩქარევად მოგებული საქმე ყოველთვის მარცხით დასრულდებაო.

— —

მონტობანთან ფორტი ფრიკური მეტად გამაგრებული აღმოჩნდა. ფრანგ-ინგლისელებს მის ასაღებად ბრძოლას თავი დაანებეს.

— —

ვილჰელმი ინგლის-საფრანგეთის ასპარეზზე მიდის.

— —

მონსკთან ცარიცინის მიმართულებით მოხდა დიდი შეტაკება. ამ ბრძოლაში გერმანელებს 800 კაცი დააკლდათ პირველი სიმაგრის ხლართი რუსებმა გაარღვიეს.

რუსეთის საჰაერო ესკადრამ ბარანოვიჩს დაუშინა. ესკადრას გერმანელების შორს მსროლელი ზარბაზნები სასტიკად უპასუხებდენ, მაგრამ დიდი ზიანი არ მიუყენებიათ.

— —

ვერდენის ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლის დროს ყუმბარის ტყვიისგან დაიჭრა ერთგვარი ცხოველი, რომელსაც თურმე არტილერიის გასროლა ქონდა მინდობილი. ცხოველი არტილერიას აჯდა ასაფეთქებელ მანქანასთან და როგორც კი ანიშნებდენ, მყისვე არტილერიის ცეცხლს გააჩაღებდა ხოლმე. ცხოველი მგლის ოდენაა და თვალები გადმოკუსული აქვს. გერმანელებს ჯერ მისი ჯიში ვერ გაუგიათ.

— —

შეთანხმების სახელმწიფოთა პრესა ყოველდღე უსაყვედურებს რუმინიას, რომ მის გამოსვლის საათმა კარგა ხანია დაჰკრა, მაგრამ იგი ძველებურად ყოყმანობს და გამოურკვეველ გზაზე დგომას განაგრძობსო.

— —

„გენერალ ევერტის და კუროპატკინის ჯარებმა პრინც ლეოპოლდ ბავარელის ჯარს შეუტიეს. „რუსკ სლოვო“ სწერს: ამ მოკლე ხანში ხსენებულ გენერლების ჯარები ფელდმარშალ ჰინდერბურგის ჯარებს შეუტევენო.

— —

თ-დი ბიულოვი „გერმანიის სამხრეთის გაზეთში“ სწერს: ჩვენთვის ჯერ კიდევ დიდძალი იარაღის დამზადებაა საჭირო, რადგან მტერი ახლა აპირებს სასტიკ წინააღმდეგობის დაწყებასო.

— —

საბერძნეთის მეფე კონსტანტინე ავად გამხდარა.

— —

24 ივნისს იუტლანდიის კუნძულებთან საზღვაო ბრძოლა მომხდარა. ცნობები ჯერ არ არის.

— —

გერმანიაში საშუალო სასწავლებლების მოწაფენი ჯარში გაიწვიეს.

— —

რუსეთის მოწყალების დები კოპენჰაგენში ჩავიდენ და იქიდან გერმანიაში მიდიან.

— —

მაკედონიის ფრონტზე სრული სიწყნარე ჩამოვარდა.

— —

ტიომონთან (ვერდენის ფორტი) ცხარე საარტილერიო ბრძოლა განახლდა.

— —

ქ. ლიურს გერმანელთა ჰაეროპლანები განუწყვეტლივ უშენდენ ყუმბარებს. დანგრეულია ყველა დიდი შენობა და ქალაქის კედლები.

— —

ფერასა და შენუასთან სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა. ამ ბრძოლაში სამი დღის განმავლობაში 45,000 კაცი დაიღუპა.

— —

სტამბოლის მთავრობამ სირიელ ომარს და სხვა მოღვაწეთ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, რადგან ისინი საფრანგეთის რესპუბლიკას მეგობრობდენ და მასთან ჯაშუშობას ეწეოდენ.

— —

ფრანგები სომმის ჩრდილოეთით წინ მიიწევენ.

— —

გერმანელებმა დაამთავრეს ფლანდრიაში ჯარების გადაყვანა. ამ ჟამად იქითკენვე ეზიდებიან დიდძალ ზარბაზნებს.

— —

ავსტრო-უნგრეთში მომავალ საზამთრო კომპანიისთვის მზადებას უკვე შეუდგენ.

— —

უნგრეთის მცხოვრებლებს მეტად აფიქრებსთ და თან აშფოთებსთ რუსთა ჯარის წინსვლა.

ომის დღიური.

— —

აღმოსავლეთის ასპარეზი. რიგიდან პოლესიემდე მხოლოდ სროლაა. გერმანელების მფრინავები მოქმედებას განაგრძობენ. მდ. სტოხოდზე მძაფრი ბრძოლები გრძელდება. აქ მდგომარეობა კვლავ მწვავეა. ერთ ალაგას გერმანელებმა სტოხოდზე გადმოსვლა შესძლეს. იქსკიული ხიდის საფარის წინაამდეგ გერმანელებმა არტილერია წამოსწიეს, მაგრამ რუსებმა ხელი შეუშალეს. სოფ. ჩერკასთან არტილერიის ცეცხლის დახმარებით გერმანელები წინ წამოვიდენ, მაგრამ რუსებმა კონტრიერიშით მოიგერიეს.

კავკასიის ასპარეზი. არზრუმის დასავლეთით რუსებმა ოსმალებს უკან დაახევინეს და ქ. მამახათუნი მეორეთ აიღეს. ოსმალებს ქალაქისათვის ცეცხლი მოუკიდებიათ, რუსებს მის ჩასაქრობათ ზომები მიუღიათ. 28 ივნისს ოსმალებმა რუსებს მოუკლეს პოლკოვნიკი კვარტოვკინი.

დასავლეთის ასპარეზი ათი დღის შეუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ ინგლისელებს წინ წაუწევიათ 2000—4000 იარდით 1400 იარდის სიგრძის ასპარეზზე დიდი დაბრკოლებანი უძლევია ინგლისის ჯარს, რადგანაც თითო პატარა სიმაგრის აღებისთვის დიდი ბრძოლა სჭირდებოდათ და არსად გერმანელების დაფრთხობა არა ყოფილა.

ტრონნის ტყე ინგლისელებს უკან დაუბრუნებიათ. დღემდე ინგლისელებს 7500 კაცი დაუტყვევებიათ და 29 ზარბაზანი ჩაუგდიათ ხელში. ფრანგებმა შამპანში რამდენიმე მარჯვე იერიში მიიტანეს. ვერდენთან მარცხენა ნაპირზე გერმანელები ფრანგების პოზიციებს უშენენ. ფრანგებმა ფიუმენის ტყის ნაწილი უკან დაიბრუნეს. მარჯვენა ნაპირზე გერმანელები მკაცრად უშენენ ფრანგების პოზიციებს და დანლუს ბატარეიაში შეიჭრენ.

იტალიის ასპარეზი. იტალიის მთავარი ბინის ცნობით, ავსტრიელებს გალიციაში გაგზავნილი დამხმარე ჯარი უკან დაუბრუნებია. ადიჯე-პაზუბის ღელეში ავსტრიელებმა უკანვე წაართვეს იტალიელებს თავისი პოზიციები. აზიაგოზე იტალიელებს ავსტრიელებზე იერიში მოაქვთ. მდ იზონცოზე საარტილერიო და ხელის ყუმბარებით ბრძოლა მოხდა.

ზღვაზე. ბოტნიკის ყურეში რუსის ნაღმოსნებმა გერმანელთა ორი ტრანსპორტი დაატყვევეს და თან წამოიყვანეს.

* * *

უნგრეთის მართველ წრეებს განუცხადებიათ, რომ რუმინიას ჩვენ არაფერს არ დავუთმობთო.

— —

„ჟურნ. დე ბალკანი" სწერს: ტახტის მემკვიდრის ფრანც ფერდინანდის მკვლელობა სარაევოში გრაფ ტისამ, ბულგარეთის მეფემ და იმპ. ვილჰელმა მოაწყვესო. სარაევოს ტრაღედიის შემდეგ მათ ვილჰელმთან შეთანხმებით შეადგინეს სერბიისადმი წასადგენი დღიურიო.

— —

კერძო ცნობების მიხედვით, სალონიკში მოსულა იტალიის ჯარი. აქ ამ დღეებში დიდ ბრძოლებს მოელიან.

— —

სტამბოლში, გერმანელ პროფესორის ჰესენის მეთაურობით, დაიწყეს ოსმალურ კანონმდებლობის რეფორმაცია. რეფორმაციაში სამი შერეული კომისია მუშაობს.

— —

ბულგარეთში მოსულა გერმანიის წყალქვეშა, რომელსაც დიდძალი მაზუთი მოუზიდავს.

— —

ინგლისმა გადასწყვიტა, შვეიცარიის სანაპიროებს ალყა შემოარტყას, თუ შვეიცარიამ გერმანიის ულტიმატუმი მიიღო.

— —

რუსეთის გაზეთების გადმოცემით ჰოლანდია შეთანხმების სახელმწიფოებისკენ გადმოიხარა.

სამხედრო მიმოხილვა

მდ. სომმის ორივე მხარეს ატეხილი ბრძოლა ძალიან მოგვაგონებს თავისთავად ვერდენის გარშემო ატეხილ გაუთავებელ შეხლა-შემოხლის დასაწყისს სომმის ბრძოლა მარტო იმით კი არა ჰგავს ვერდენის ბრძოლას, რომ, როგორც ერთი, ისე მეორე, ერთ ერთ მდინარის ორივე ნაპირებით ხდება. ორივე ოპერაციას ხასიათი აქვს საერთო. ორივეს ერთნაირი მიზანი აქვს დასახული. გერმანელებს, როგორც ეს არა ერთხელ აღვნიშნეთ, ვერდენთან შეტევით ფრანგთა ძალების შებოჭვა სურდათ, რათა მათ ასპარეზის სხვა ნაწილით არ შეეტიათ გერმანელებისათვის და თუ მაინცა და მაინც შეუტევდენ, იგი შეტევა სუსტი ყოფილიყო ივნისში, როდესაც რუსებმა ენერგია გააორკეცეს და სცდილობდენ გალიციის ბრძოლის პირის გარღვევა თავის ლოღიკურ დასკვნამდე მიეყვანათ, სწორედ ამ დროს ფრანგ ინგლისელებმა მთელი თავისი ძალღონე მოიკრიბეს სომმის ასპარეზზე და ისეთივე ხასიათის შეტევა დაიწყეს გერმანელების წინააღმდეგ, როგორსაც გერმანელებმა მიმართეს ამ ოთხი თვის წინედ ვერდენთან. და მიზანიც, რასაკვირველია, ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც ვერდენის ბრძოლის მიზანია. ინგლისელები და ფრანგები მეტად კმაყოფილნი დარჩებოდენ, თუ შესძლებდენ გერმანელთა ადგილობრივ დაკავებას, მათ ძალების შებოჭვას. ეს ასულდგმულებდა ინგლისელთა ჯარის ხელმძღვანელებს მაშინ, როდესაც ისინი მიუკარებელ საველე სიმაგრეებზე იერიშის მიტანას უბრძანებდენ ჯარს.

აქ თავისთავად იბადება კითხვა: რათ სჯერდებიან ასე ცოტას მოკავშირეები დასავლეთით? ისინი ხომ მთელი წლის განმავლობაში თითქმის არაფერს არ აკეთებდენ და ემზადებოდენ გაზაფხულის საერთო შეტევისათვის!

ამ კითხვის პასუხი უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომელმაც აიძულა გერმანელები მიემართათ ვერდენის ხერხისათვის. ხომ გერმანელებს ზარბაზნები, ტყვია წამალი და ჯარი შეტევისთვის საკმარისი ჰქონდათ და შეტევის საუკეთესო მწარმოებელი, მაკენზენიც ჰყავდათ? რატომ არ შეესიენ ფრანგებს და არ წაიწიეს წინ?

მაგრამ საქმე იმაშია სწორედ, რომ წაწევით კი წაიწევდენ წინ გერმანელები, შეუძლებელი აქ არა იქნება რა, მაგრამ ვაი იმ წარმატებას, მთელი ძალღონე და სამხედრო საშუალებანი უნდა შეელიათ ამისთვის.

გერმანელებმა აირჩიეს ძალების შენახვა და ისევ ფანდებით ლელოს გასვლა, მოხერხებულ ბრძოლის წყალობით მოწინააღმდეგის შესუსტება.

რასაკვირველია, ეს ტაქტიკის გამოცვლა არ გამოეპარათ მოკავშირეებს და ეხლა ისევე როგორც ამას გერმანელები სჩადიან ფრთხილად აწარმოვებენ შეტევას. პირველად სცადეს ინგლისელებმა და ფრანგებმა ფართო შეტევა, მაგრამ იგრძნეს რა ამის სიძნელე და შეუსაბამობა, მიმართეს ზემო აღნიშნულ ხასიათის ბრძოლას.

ინგლისის მთავარ ბანკის ცნობა გვაუწყებს, რომ თითოეულ უბრალო სიმაგრის დასაპყრობათ მთელი ოპერაცია, რთული ბრძოლა იყო საჭირო. ამნაირ პირობებში მთელი ჯარის და სამხედრო მასალის მსხვერპლათ გაწირვა ბრძოლის პირის თუნდ დიდ მანძილზე გარღვევისათვის აუნაზღაურებელი ზარალი იქნებოდა. ომს ორი საუკეთესო ხელმძღვანელის ჟოფრისა და კიტჩენერის მთელი წლის ნაამაგარი უქმად ჩაივლიდა.

დღეს კი, ჯერჯერობით მაინც, ინგლისელებმა და ფრანგებმა სომმის ბრძოლებით შესძლეს გერმანელთა ჯარის ადგილობრივ დაკავება და არ მისცეს მათ საშუალება გერმანელებს მიეშველებიათ დამხმარე ჯარი აღმოსავლეთის ასპარეზით მომქმედ ჯარისათვის.

როგორც აღვნიშნეთ ვერდენის ბრძოლის მიზანი გერმანელების მხრით და ფრანგ ინგლისელთა მიზანი სომმაზე თუმცა ერთია, მაგრამ გარჩევა განსხვავება თვით ბრძოლის საგანში დიდია. იმ დროს, როდესაც ვერდენის ბრძოლის პირის გარღვევას მოჰყვება დიდი უბედურება ფრანგებისა და აღარავითარი სიმაგრე აღარ დარჩებათ მათ. სომმის ასპარეზზე გერმანელებს შეუძლიანთ ოდნავ ბრძოლის პირის შესწორება. ამასთანავე მთელი რიგი სიმაგრეებისა დახვდებათ ფრანგ-ინგლისელებს იმ შემთხვევაში, თუ მათ შესძლეს მდ. სომმის ბრძოლის პირის საბოლოოდ გარღვევა.

შვერელი.

ქართული პრესა.

მიწების შენარჩუნებისათვის გაზეთი „საქართველო" სწერს:

დღეს ქართველი საზოგადოება საკმარისად გამოფხიზლდა. საკმარისად წამოიზარდა ჩვენი ეროვნული ბურჟუაზიაც. შეიქმნა მთელი წყება ობიექტიური პირობები, რომელნიც შესაძლებელ ჰყოფენ, რომ არც ერთი მტკაველი მიწა უცხო ტომის ხალხის ხელში არ გადავიდეს. მიუცილებლად საჭიროა დაარსდეს საგანგებო საზოგადოება, ქართველ მიწა-წყლის მობილიზაციის საზოგადოება, რომელიც უცხო ტომის მყიდველებს შეეძავებოდეს ჩვენი მემამულეთა მიწა-წყლის შეძენაში. ამგვარი საზოგადოება ადვილად დასძლევს უცხო ტომის მყიდველებს, ვინაიდგან თვით ჩვენი მემამულენი უფრო ნაკლებ ფასებში უთმობენ თავიანთ მამულს ქართველ მყიდველებს: ამის მაგალითს ყოველ დღე ვხედავთ. ამდენი „მსხვერპლის" გაწევის შეგნება მათ უკვე აქვსთ. ასეთი საზოგადოება, რომელიც ცხადის ეროვნულის მიზნით იქნება შექმნილი, ქართველ მიწის მუშას თან და თან შეასყიდვინებს სახნავ სათეს ადგილებს ხელმისაწვდომ პირობებში, თავისთავის დაუზარებლად, რასაკვირველია. რაც შეეხება ფართე საექსპლუატაციო ადგილებს, იგი საზოგადოება თვით შეუდგება მათ ექსპლუატაციას, შიგ გააჩაღებს ცოცხალ საქმეს, შექმნის შემოსავლის ახალ წყაროს და ადგილობრივ მეზობელთაც [illegible] უჩენს.

ეკონომიურ [illegible] გამოწვეულ [illegible] ბილიზაციის [illegible] ური [illegible] ცია ეროვნული ტერიტორიის მობილიზაციის განზრახული საზოგადოება ეკონომიურ [illegible] მისცემს [illegible] და თანაც დიდ ეროვნულ დანიშნულებასაც შეასრულებს. იმედია, შეგნებული და შეძლებული ქართველობა ამ საქმის მოსაგვარებლად საჭირო შნოს და უნარს გამოიჩენს.

რუსული პრესა.

„გოლოს ტრუდა"-ში მ. ი. ლარინი სწერს:

რუსეთის პარლამენტარიებმა სტოკჰოლმში ერთ [illegible] ხალხის წარმომადგენელს სახელით განაცხადეს: „რუსეთში [illegible] ცხოვრებაში [illegible] რუსეთის ხალხი დიდი მორჩილია, იგი მთავრობას ენდობა და [illegible] ეს [illegible] პატარა ერების [illegible] რუსეთის [illegible] ერთა [illegible] კონსტიტუცია [illegible] ადგილი [illegible]".

ასე განაცხადეს რუსეთის პარლამენტარიებმა, მილიუკოვმა და პროტოპოპოვმა ხალხის სახელით. რას უნდა მოელოდეს ასეთ წარმომადგენლებისგან ხალხი?! იმას, რასაც იგი წინანდელ წლების ბიუროკრატიისაგან მიიღებს.

თეოფილე ხუციშვილის იუბილეს გამო.

არიან ისეთი კაცები, რომლებთანაც შეხვედრა და საუბარი არაოდეს არ მოგყირჭდება. ამგვართა რიცხვს ეკუთვნის თეოფილე ხუციშვილი.

სიყრმიდანვე დღემდის ის ერთიდა იგივე, მუდამ პირმცინარე და მხიარული, სიცოცხლით სავსე და მოძმის მოყვარული. სიცოცხლე უხაროდა და [illegible] სიცოცხლე შეჰქონდა. ასეთი იყო მისი ბუნება, რომელსაც ბედის ტრიალმა ვერა დააკლო-რა და ვერ შესცვალა.

და მისი ნაწერები მეტადრე მოთხრობები—მისი სულის განსახიერება, ან ანარეკლი, წარმოადგენენ და მკითხველებს სიცოცხლეს შეაყვარებენ. მათი განსაკუთრებით [illegible] მნიშვნელობა სწორედ ამაშია.

კოოპერატისტის შენიშვნები

ორიოდე სიტყვა კავშირის აღმაშენებლობაზე.*)

როგორც იქნა, საკოოპერაციო მოძრაობის ფერხულში ჩვენი მხარეც ჩაება. საკოოპერაციო მოძრაობა უკვე გაიშალა ჩვენში და დგება მისი გაღრმავების ხანა.

ჩვენ არ გამოვუდგებით აქ ამ მოძრაობის წარმოშობა-განვითარების დახასიათებასა და იმ მიზეზთა გამოკვლევა-აღნუსხვას, რომლებმაც გამოიწვია ამ საქმეში ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენა: ეს მომავლის საქმეა და დარწმუნებული ვართ, რომ ეს მომავალი მას კიდეც გააშუქებს მალე.

მაგრამ არ შეგვიძლია არ შევეხოთ გაკვრით მაინც იმ უკუღმართობას, რომელსაც მაგრად მოუკიდებია ფეხი ჩვენს საზოგადო აზროვნებაში და უშლიდა, უშლის და, შესაძლოა, კიდევ დიდხანს შეუშალოს ხელი კოოპერაციის გაღრმავებასა და ნორმალურად მის განვითარებას.

ეს გახლავსთ უვიცობა და ამ უვიცობის დაფარვა რაიმე სხვა, თუმცა თანამოძმე, საკითხისა ანუ საქმის გარშემო შეგნებულად თუ შეუგნებლად „შემოკრებილ" ძალთა ინტერესების ვითომ ნამდვილი წარმომადგენლობის დაჩემებით,— ასეთ საქმეშიც კი, რომლის ან არა გაეგებათ რა, ან გაეგებათ, მაგრამ განგებ ცდილობენ მის შემოზღუდვას იმ მდგომარეობის ფარგლებით, რომელსაც ისინი განიცდიან, და სრულებით არ უწევენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ასეთი საშუალებები ხელს უშლიან, როგორც ახალ საქმეს, ისე ძველ საქმესაც, რომელსაც „ემსახურებიან" იქაც და აქაც და რომელიც სულაც არ საჭიროებს ახალი საქმის შებოჭვასა და მისთვის „ჯგუფური ჟანდარმერიის" შექმნას...

ძნელია, მეტად ძნელია ასეთ პირობებში მთელი თავის არსება-დანიშნულებითა და მიზნით თავისუფლების პრინციპებზე დამყარებული საკოოპერაციო მოძრაობის განვითარება. აუტანელი ხდება ხშირად ის ატმოსფერა, რომელიც იქმნება ზემო დასახელებული უკუღმართობით. მაგრამ მხოლოდ ერთი-ღა გამხნევებს კაცს: ღრმა რწმენა, რომ თვით ცხოვრებისგან წარმოშობილ საკითხს, სახალხო საქმეს ვერაფერი ვერ შეაფერხებს ხანგრძლივათ და ადრე თუ გვიან იგი გზას მაინც გაიკაფავს.

საკოოპერაციო მოძრაობასაც, როგორც სახალხო საქმეს, უნდა გადაელახა ყოველი დაბრკოლება და ეს მოვალეობა მან კიდეც შეასრულა ჩინებულად: კოოპერატივებით მოიფინა მთელი ჩვენი მხარე. საკოოპერაციო მოძრაობა თვალსაჩინო მოვლენად იქცა და დღეს მისთვის წინააღმდეგობის გაწევა მეტად სახიფათო საქმეს წარმოადგენს.

რიგი მიდგა კავშირის აღმაშენებლობაზე. დავიწყოთ ამიერ კავკასიის მომხმ. საზ-თა კავშირიდან,— დავანებოთ თავი სხვადასხვა ბიუროებს, მათში არსებულ ძალთა ავსა და კარგს, ამ ბიუროებთან და საბიურო თუ საკავშირო თათბირებთან მაშინდელ გარეშე მაყურებელთა დამოკიდებულებას (ამაზე შემდეგ).

ჩვენ დიდის სიხარულით მივეგებეთ ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დაარსებას (იხ. „კოოპ." № 1 და 2, 1916 წ.) ვურჩევდით და ახლაც ვურჩევთ ყველა კოოპერატივს მასში ჩაწერას და მის მომაგრებისთვის ხელის შეწყობას ამიერ-კავკასიის კავშირს, როგორც საოლქო კავშირს, დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით და ვაძლევთ ახლაც: თუ მისი ხელმძღვანელები მტკიცედ დაიცავენ სალ საკავშირო პრინციპებს, მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მოკავშირე საზოგადოებათათვის.

მაგრამ არასოდეს არ მოგვსვლია აზრად, რომ ამიერ-კავკასიის კავშირის დაარსება გამოიწვევდა ადგილობრივი კავშირებისა და თვითმოქმედებისადმი რეაქციას. არც კი მოგვსვლია აზრად, რომ ამ კავშირის სამმართველო ორგანოებში მოქცეულ პირებს ეგზომ ყალბი წარმოდგენა ექნებოდა კავშირის აღმაშენებლობაზე საერთოდ და განსაკუთრებით ცენტრალურად განდიდებულ საოლქო კავშირისა და ადგილობრივ კავშირების დამოკიდებულებაზე.

დიდ გამოცდილებას იძლევა ამ მხრივ რუსეთის საკავშირო აღმაშენებლობის ისტორია, საკოოპერაციო ყრილობები და როგორ ვიფიქრებდით, რომ კავშირის ახლო მდგომ პირთა მიერ ამ საქმის ანბანი მაინც არ იქნებოდა შესისხლხორცებული და აქაც თავს იჩენდა იგივე უკუღმართობა

— —

ამიერ-კავკასიის დამფუძნებელ კრების შემდეგ ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში მოხდა თათბირი ადგილობრივ კავშირების დაარსების შესახებ — ჩოხატაურში, ხაბუმეში, ქუთაისში და სხვაგან განზრახულია ასეთი თათბირის მოხდენა კიდევ სხვა ცენტრალურ ადგილებშიც

ამ თავისთავად ფრიად საამო მოვლენას ფრიადვე სამწუხარო გაუგებრობა გამოუწვევია ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელებში: აქაო და დამოუკიდებელ კავშირებს აარსებენ ქუთაისის გუბერნიაში და მორჩა და გათავდა ჩვენი კავშირი-კოოპერაციის საქმეო...

ეს გაუგებრობა გამოქვეყნდა კ. კანდელაკის წერილით, რომელიც მოყვა გაზეთ „თანამედროვე აზრში" გამოქვეყნებულ ცნობას ქუთაისში ვითომ საგუბერნიო კავშირის დამფუძნებელი კრების მოხდენის შესახებ 21 ივნისში. გაზეთი მეტად დაუშინებია ამ ცნობას და მას ვერც კი აუხსნია ასეთი საქციელი განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის კავშირის დაარსების შემდეგ, როცა „თვით სამტრედიის საგუბერნიო ბიურომაც საჭიროთ დაინახა თავის საქმეთა ლიკვიდაციის მოხდენაო"..

ამის შესახებ ამ სტრიქონების დამწერმა იმავე დღესვე დეპეშით აცნობა აღნიშნული გაზეთის რედაქციას, რომ შიში უსაფუძვლოა და სხვა, მაგრამ რედაქციამ დაარღვია ჟურნალური ეთიკა და დეპეშის შინაარსი თავის მკითხველებს დაუმალა, რის გამოისობითაც ეს წერილი იბეჭდება სხვა გაზეთში.

რა მოხდა? რამ დააფრთხო ასე „თანამედროვე აზრი" და ამიერ-კავკასიის კავშირის საბჭო?

ქუთაისში 19 ივნისს შედგა მომხმარებელი საზოგადოების „რეგულიატორი"-ს დამფუძნებელი კრება. „რეგულიატორში" ჩაწერილი აღმოჩნდა ამ დღისთვის 26 მომხმარებელი საზოგადოება, 3 დამაარსებელი და ორი ინიციატორი ამ საქმისა, დამწერი ამ სტრიქონებისა და ამხანაგი [illegible]. დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა ჩაწერილ წევრთა მიღება და ინსტრუქციული გამგეობის დაავალა: თავის უფლებით წევრებად მხოლოდ კოოპერატივები მიიღოს, კერძო წევრებს ჩაწერა დაუყოვნებლივ ნუ მიიღებო.

რაღა გავაგრძელოთ, დაარსდა ფაქტიურად რაიონული კავშირი. მისმა დამფუძნებელმა კრებამ, სავსებით მიიღო რა გასული წლის 24—26 ივნისის მოსკოვში შემდგარი საკავშირო თათბირის რეზოლუციები ადგილობრივ და რაიონულ კავშირების დამოკიდებულებაზე, დაადგინა: „რეგულიატორის" მოქმედება უნდა შეუთანხმდეს ამიერ-კავკასიის კავშირის მოქმედებას; „რეგულიატორი" უნდა ჩაეწეროს იმავე კავშირში; მან უნდა შეასრულოს განმანაწილებელი პუნქტის როლი და სხვა.

რა არის აქ დასაგმობი ან ისეთი, რომელიც არ შეეფერება კავშირის აღმაშენებლობის პრინციპს? ნუ თუ ის, რომ ინიციატივა ადგილობრივ მომუშავეს ეკუთვნის, იმ მომუშავეს, რომლის ზურგზე გადაიარა ამიერ კავკასიის კავშირის კავშირე საზოგადოებათა დიდი უმრავლესობის, თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსების პრაქტიკულ საქმეთა მოგვარების საქმე?

მართალია, ორგანიზატორებს დამფუძნებელი კრების დღე არ უცნობებიათ კავშირის მართველობისთვის, მაგრამ ეს იმი-

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს სიმართლის აღსადგენად და ამ ფრიად საყურადღებო საკითხის გამოსარკვევად. რედ.

ქართველი კაცი წუწუნს არ არის ჩვეული და უიმედობას გაურბის. თვით ნიკოლოზ ბარათაშვილმაც კი გადააბიჯა გარეშეუწერელი პესიმიზმის საზღვარსა და თავი ანუგეშა: „ტყვილა ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთებაო". აკაკის სევდა და წუხილი ხომ—სევდა და წუხილია იმისთანა კაცისა, რომელსაც უკეთესი მომავალი სწამს. „შემცდარია ვინც გულს იტეხსო", სთქვა მან

დიაღ! ქართველი კაცი ლხინშიაც და ჭირშიაც გულგაუტეხელი და მხნეა.

და თეოფილე ხუსკივაძე—ნამდვილი ქართველია.

და, ვისაცა სურს გაიგოს, რა სიყვარული დაიმსახურა მან იმ საზოგადოებისა, რომელთანაც თავისი სიყმაწვილის დრო გაატარა, ვსთხოვ წაიკითხოს გაზ. „სამშობლოს" 1 ივლისის ნუმერი. აი რას ამბობენ მისი ზესტაფონელი მეგობრები (ვფიქრობ, რომ მტრები მას არა ჰყავს): მან (თეოფილემ) გახსნა აქ პირველი წიგნისმაღაზია, თეატრის საქმე მან დაიწყო და, საზოგადოდ, ყოველი კულტურული საქმე მისგან იწყებოდა და მისგან გვირგვინდებოდა.. მისგან დათესილი თესლი ამოვიდა, ჯეჯილად იქცა, თავთავი დაისხა და განაყოფიერდა ., რამდენსამე ხანს ის ჩვენი მოზარდი თაობის აღმზრდელ-მასწავლებელი, ჩინებული პედაგოგი და დედა-ენისადმი სიყვარულის გამღვივებელი იყო... შინ თუ პატრონ-მესვეურობდა, გარეთაც ყველასთან პასუხისმგებელი იყო ჭირში თუ ლხინში".

იმედია, ასეთ კაცს, რომელიც არა მარტო კალმით, არამედ საქმითაც ემსახურებოდა მამულსა და რომელმაც საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა იმ საზოგადოებისა, რომელთან ცხოვრებაც წილად ხვდა, ყოველი ქართველი განურჩევლად მიმართულებისა —პატივსა სცემს და ზესტაფონელთა გულწრფელ გრძნობას გაიზიარებს ჟუბილჟარისადმი მადლობის ნიშნად და გასამხნევებლად.

ვასილ წერეთელი.

დეპეშა.

„სამშობლო"-ს რედაქციას, ოჩემჩირედან.

ღრმა პატივისცემის გრძნობით ვულოცავთ თეოფილე იესეს ძე ხუსკივაძეს მის სალიტერატურო და საზოგადო ნაყოფიერ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებას.

ბოკუჩავა, გრიგოლია, ბაჟუა, ჩაჩია, აკირტავა, გვაზავა.

——

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" რედაქცია ულოცავს თეოფილე ხუსკივაძეს 35 წლის მოღვაწეობას სამწერლო ასპარეზზე.

ი. იმედაშვილი.

წუნარ მუშაკს, მჭირფას თეოფილეს.

ქართველ ახალგაზდათა ერთი ჯგუფის სახელით გულმხურვალეთ გილოცავ 35 წლის მოღვაწეობას ქართულ მწერლობის ასპარეზზე და გისურვებთ კვლავ მრავალ წელს არ გაგვგდოს ხელიდან შენი პატარა, მაგრამ წმინდა ხალხოსნურ მოძღვრების მქადაგებელი კალამი.

შენი გამოსვლა ამ ოცდახუთმეტი წლის წინად სამწერლო ასპარეზზე ერთგვარი მაჩვენებელია ქართული სიტყვაკაზმულობის უკვდავებისა და თავდებია იმისი, რომ ქართული სიტყვა და ქართული გრძნობა უკვდავია და ბევრი შენგან აღზრდილი ქართველი სიკვდილის კარამდე ერთგული იქნება შენი იდეალებისა. მწარედ დასჯილ, განაწამებ საქართველოსთან ერთად შენ და შენი წმინდა საქმე უკვდავი იქნებით.

სტუდ. **ილ. ჟღენტი.**

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისში დიდძალი სიმინდი მოვიდა. პირველი ხარისხის თეთრი სიმინდი, იყიდება ფუთი 1 მან. 20 კ., ყვითელი 1 მ. 10 კაპ.

◆ ზემო იმერეთიდან გვწერენ, ჩარჩებმა უკვე დაიწყეს სამკურნალო მცენარეების ყიდვა და მოგროვებაო.

◆ ტყიბულისაკენ 1 ივნისიდან დაინიშნა საღამოს მატარებელი. შეიცვალა მატარებლის მიმოსვლის დროც დღეიდან დილის მატარებელი გავა 8 საათზე და 20 წ., საღამოს კი 3 საათზე და 20 წ.

◆ სანოვაგის ფასები: ფქვილი ფუთი 3 მან. სიმინდი ფუთი 2 მ. 60 კ. ყველი მან. ოყა 1 მ. 20 კ. კარტოფილი 80—1 მ.; კვერცხი 5 ც. 20 კაპ. ხილეულობის ფასი: ატამი ფუთი 4 მან. გულაბი სხალი 5 მან , ისე სხალი 3 მან. წყალქლიავა 4 მან : შავი ქლიავი 2 მან. 50 კ თხილი გარჩეული 5 მან. გაურჩეველი 3 მან. 40, საზამთრო 100—25 მან. ნესვი 100—20, მან. კიტრი 100—2 მ. 50 კაპ.

◆ ქუთაისის ბაზარზე პარკის ფასმა დაიკლო. ამ ჟამათ პარკი იყიდება ფუთი 36 მან.

◆ ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი გაგზავნის ამ მოკლე ხანში ერთ ერთ მასწავლებელს ონის სამეურნეო სასწავლებელში საბალო მიწის საყიდლათ.

◆ ლანჩხუთის განყოფილების წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მათ გახსნან სოფელ ებალადრში (სადგურ ჯუმათში) ჯურუკვეთის საზოგადოებაში უფასო სამკითხველო მღვდელი ირაკლი აფხაზავას პასუხისმგებლობით.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა დააჯარიმა წუმწუმის (სპიჩკის) ნიხრს ზევით გაყიდვისათვის, 25 მანეთით ვაჭარი ემანუილ სარუქია.

◆ სიძვირის წინააღმდეგ. გამოაკრეს ყოველ ქალაქში და ამ დღეებში ქუთაისშიაც გამოაკრავენ განცხადებას, რომელშიაც ბ. გუბერნატორი აღნიშნავს ვაჭრების ალვირ-ახსნილობას, და ართხილებს მათ, რომ დღიდან ამ განცხადების გამოკვრისა, არავინ გაბედოს საქონლის ზედ მეტ ფასებში გაყიდვა ან გადამალვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით.

◆ სენაკის განყოფილების წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადლობის გამგეობა სთხოვს ქუთაისის გუბერნატორს გრაფ გუდოვიჩს დართოს მათ ნება, გახსნან დ. ძველ სანაკში სახალხო სამკითხველო და დაამტკიცოს სამკითხველოს გამგეთ დ. სენაკის მცხოვრები, სოფია ქავთარაძის ქალი.

◆ საიმპერატორო აკადემია გზავნის უფროს შემნახველს გეოლოგიურ მინერალოგიურ მუზეუმისას ოლეგ ბავლუნდას ჭიათურის მადნების დასათვალიერებლათ.

◆ გლეხს იასონ ხეცურიას კნიაჟ. ა.-რა დადეშკელიანის ადგილში აუშენებია სახლი. პოლიციას შენობა დაუნგრევია. გლეხს კიდევ დაუწყია შენობის აგება. პოლიციის განკარგულებით, დარაჯი მოსულა და დაუშლია მისთვის მუშაობა ხეცურიას კეტი დაუკრავს დარაჯისთვის, რის გამოც დარაჯს თოფი უსვრია და დაუჭრია ხეცურია.

პროტესტი. გაზ. „თანამედროვე აზრში" მოთავსებულ-ვითომ ქუთაისში იასონ გაბილაიას ინიციატივით საგუბერნიო კავშირის დამფუძნებელი კრების მოხდენაზე ყალბი ცნობის მოთავსების უარსაყოფად, ბ-მა გაბილაიამ დეპეში გაუგზავნა მაშინათვე „თან. აზრს", მაგრამ „აზრმა" არამც თუ არ გააცნო თავის მკითხველებს დეპეშის შინაარსი, არამედ კვლავ განაგრძობს გაბილაიას შესახებ იმავე ყალბი ცნობის გავრცელებას, რაიცა სჩანს გუშინდელი მისი ნომრის პრესიდან. ამის გამო ბ-ნ გაბილაიას გუშინ მორე დეპეში გაუგზავნია „აზრისთვის" შემდეგის შინაარსისა: „უღრმეს პროტესტს გიცხადებთ თქვენ ჩემს შესახებ ყალბი ცნობების გავრცელებისთვის. მოვითხოვ პირველი დეპეშის გამოქვეყნებას."

შეცდომის გასწორება.

გუშინდელს ჩვენს გაზეთში მოთავსებულ წერილში ზესტაფონიდან თეოფილე ხუსკივაძის შესახებ შემდეგი შეცდომა გაგვეპარა:

დაბეჭდილია: „აქაურ სამსჯულოში მკვიდრნი მასში ხედვიდენ სიმართლის მაჩვენებელს და სიმრუდის მაძიებელს". უნდა იყოს: „სიმრუდის მაძაგებელს.

ტომ, რომ თვით კავშირი საორგანიზაციო ხანას განიცდიდა და მისთვის ხარჯების მიმატება ამ შემთხვევაში ზედმეტად მიაჩნდათ. ისე „რეგულიატორის" დაარსების განზრახვა კარგათ იცოდა ამხ. კანდელაკმა. 16 მაისს მოსკოვის კავშირის წარმომადგენლის ამხ. ქიტნიკოვის თანდასწრებით ჩვენ თათბირი გვქონდა თფილისში ინსტრუქტორთა სამოქმედო გეგმის შესახებ. აღიარებულ იქნა აუცილებელ საჭიროდ რაიონული ეკონომიური ცენტრების დაარსება. მე განვაცხადე, რომ ასეთ კავშირს უკვე ეყრება საძირკველი ქუთაისში მეთქი. გავაცანი წესიც მისი დაარსებისა ამხანაგ ქიტნიკოვს ეს ფრიად მოეწონა და სიხარულით წარმოსთქვა:

— Вотъ вамъ идеальное при нынѣшнихъ условіяхъ районное объединеніе о.

ამიერ-კავკასიის კავშირის დამფუძნებელ კრებამაც აღიარა რაიონულ კავშირების დაარსება და მათზე საოლქო კავშირის მოქმედების დამყარება. და ყველა ამის შემდეგ განა ვიფიქრებდით, რომ უანგარო შრომა და შეკავშირების ინიციატივა აღიარებულ პრინციპებზე რაიმე გაუგებრობას გამოიწვევდა?! მაგრამ ეს მხოლოდ კრების გახსნამდი. კრების გახსნის შემდეგ სულ სხვა გამოირკვა. შემთხვევით დამსწრე გარეშე პირებმა, უმთავრესად ქუთაისის სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეებმა, ისარგებლეს სტუმართმოყვარეობით, იფიქრეს, რომ თითქო კრებას მიზნად ქონდა დასახული ამიერ კავკასიის მოპირდაპირე დაწესებულების დაარსება და შექმნეს ისეთი ატმოსფერა, რომელსაც აუცილებელ შედეგათ მოყვა ეს სამწუხარო გაუგებრობა.

მაგრამ ფორმალურ მხარეს არ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. საჭიროა საქმიანობა, და არა ფორმალიზმით გატაცება. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ზემო აღნიშნული მოსკოვის თათფირის მიერ თავისუფლების აღიარება კავშირების ორგანიზაციაში.

მაგრამ, როგორც ამხ. კანდელაკის წერილიდან ჩანს, ამიერ-კავკასიის კავშირი არ უნდა იყოს ასეთი თავისუფლების მომხრე. ამის შესახებ სხვაგან და სხვა შემთხვევაში მე ვეცდები დავამტკიცო ასეთი აზრის შეუფერებლობა საოლქო კავშირისთვის, ახლა კი მზად ვარ მოვიხადო ბოდიში კავშირის წინაშე, მხოლოდ დაამტკიცოს მისმა სამმართველო ორგანომ უპირატესობა მის მიერ წამოყენებული პუნქტებისა ჩვენ მიერ უკვე განხორციელებულ რაიონულ შეკავშირებასთან შედარებით.

ადგილობრივ კოოპერატივების შეკავშირებისადმი კავშირის პოზიცია და ამხანაგი კანდელაკის წერილი მოგვაგონებს სპილოს გულკეთილობას ერხელ სპილომ დაინახა მოსხრიალე წიწილები უკრუხოთ. მის გულში სიბრალულის გრძნობამ გაიელვა. მოვათბობ საბრალოებსო, იფიქრა მან, დააწვა და ერთბაშათ გასრისა ეს უბრალო არსებანი.

ასეთი იქნება ამიერ კავკასიის კავშირის სამსახურიც ადგილობრივი რაიონების შეკავშირებისადმი, თუ იგი თავის პუნქტებით ხელს შეუშლის უკვე თავისთავად დაწყებულ რაიონულ კავშირების თავისუფალ შეკავშირებასა და ადგილობრივ ძალთა თვით მოქმედებას,—იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ, მალე გამოირკვევა რა ჭეშმარიტება, კავშირის უცხოველო გეგმა დაიმსხვრევა და ამით დიდი ზიანი მიეყენება უმთავრესად თვით მას.

შეკავშირება იმ სახით როგორითაც „რეგულიატორი" შედგა, ადვილია და ეს ფორმა დღეს ყველაზე უფრო შესაფერია, როგორც ამიერ-კავკასიის კავშირის მოსალონიერებლად, ისე ადგილობრივი კავშირებისთვის მკვიდრი საძირკვლის ჩასაყრელად

რაც შეეხება ხარჯებსა და საწევრო და საპაიო გადასახადებს, ამხანაგი კანდელაკის შიში გადაჭარბებულია. გაიღებს ამ ხარჯებს ამიერ-კავკასიის კავშირი, თუ თვით ადგილობრივი ამხანაგობები, ეგ სულ ერთია:

ორივე შემთხვევაში რაც მოხდება, ყველაფერი ისევ კოოპერატივებს გადახდება...

სასურველია, რომ როგორც ჩვენ ამიერ კავკასიის დამფუძნებელ კრებაზე განვაცხადეთ. არსებული და აგრეთვე მომავალი კავშირები საოლქო კავშირში შეაერთებდენ თავიანთ სამყიდველო ძალას, მაგრამ ეს მოსახერხებელი იქნება მაშინ, როცა მოეწყობა რაიონული კავშირები და გაიბმება ძაფი მათსა და ამერ კავკასიის კავშირს შორის.

ეს კი წარმოადგენს ტეხნიკურ მხარეს საკითხისას. მის შესახებ და აგრეთვე ამხ. კანდელაკის წერილის დებულებათა შესახებაც ჩვენ მოვილაპარაკებთ შემდეგ წერილში.

იასონ გაბილაია.

კრება.

ოთხშაბათს, 29 ივნისს, ღამის 9 საათზე შესდგა კრება სამეურნეო საზოგადოებისა ბ. ასათიანის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო ბ. სანნოვსკიც.

ლაპარაკობდენ სამკურნალო მცენარეების შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს მომავალ წელში ორგანიზაცია ამ მცენარეების გამრავლებისა და შეკრებისათვის. გამოითქვა აზრი, რომ წელს ამ მცენარეების შეკრება კოოპერაციებმა და გამსესხებელ-შემნახველმა საზოგადოებამ უნდა იკისრონ (ბელადონა) ლემა უნდა იყოს გამხმარი და სალი, მწერებისაგან გაუფუჭებელი. თუ ასეთი სალი იქნება, მას მიიღებენ 45 მან. ფუთს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ფასდაკლებით. აგრეთვე ბ. სანნოვსკიმ მოახსენა კრებას, რომ, რადგანაც აქ, კავკასიაში, ნოტიო ჰავაა, ეს სამკურნალო მცენარეები შესაფერად ვერ გახმება, ამიტომ საჭიროა ყიდვის დროს ერთი მცოდნე პირი, რომელიც ნახავს, თუ რამდენათ არის გამხმარი საქონელი და ამის მიხედვით ფას დაუკლებსო.

ამის შემდეგ განიხილეს მოსკოვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა სექციის თხოვნა, გამართიან მათ დ. ხონის რაიონში ლექციები. კოოპერატივების სექციას ამ საქმისთვის ამოურჩევია ორი სტუდენტი: ბ. აპალონ კაკაბაძე და ბ. გიორგი რცხილაძე. პირველი უკვე ჩამოსულა და კრებასაც დაესწრო. მან გააცნო კრებას მათი მოქმედების გეგმა, რომელიც დაახლოვებით ასეთია: რადგანაც კოოპერატივები ჩვენს ქვეყანაში ძლიერ გავრცელდა და ემჩნევათ, რომ ამ კოოპერატივების წევრებს არ ესმისთ სრული მნიშვნელობა ამ დაწესებულებისა და უფრო ვაჭრული თვალით უყურებენ, და აგრეთვე არც წარმოების წესრიგი იციან, ამიტომ განვიზრახეთ მოვაწყოთ ლექციები საქართველოში, რომლის საგანიც კოოპერაცია იქნება. და რომ უფრო ნაყოფიერი იქნეს ჩვენი მუშაობა, აილეს პატარა რაიონი ხონისა, სადაც გამართავენ ლექციებს როგორც დ. ხონში, ისე ხონის სარაიონო სოფლებში. ლექციები ორ თვეს გაგრძელდება. მას ორი ნაწილი ექნება ა.) თეორეტიული და ბ) პრაქტიკული. ამასთანავე ბ. კაკაბაძემ დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინა კრებას, თუ რა დაიხარჯება ამ საქმის მოსაწყობათ. ფული რამოდენიმე უკვე აქვთ მათ. ის სთხოვს კრებას: „რადგანაც ჩვენ ლეგალური დაწესებულება არა ვართ, ამიტომ თქვენ იდევით ეს საქმე თავზე და თქვენი ფირმის სახელით ვიმოქმედებთო."

კრებამ მიიღო მოსკოველ სექციის წინადადება და დაადგინა: სთხოვონ გუბერნატორს ნებართვა ამ კოოპერატიულ კურსების გამართვისა. ბ.) დაეხმარონ მათ ფულითაც, რამდენათაც შესაძლებელი იქნება. გ.) ეცნობოს ინსტიტუტის გამგეობას, რომ ეს ყმაწვილები მოწვეული არიან ლექციების გასამართავათ და დ.) უნდა მოაწყოს ავტონომიური, კოოპერატიული სექცია ქართულ სამეურნეო საზოგადოებისა. სექციაში ჩაწერა უკვე დაიწყო: იქვე ჩაეწერენ: ბ. ბ. ვ წერეთელი, ვ. გიორგობიანი, ა. კაკაბაძე და გ. რცხილაძე;

განიხილეს თხოვნა სტუდ. ს. მახათაძისა. მიიღონ იგი მათ სტიპენდიანტათ და შუამდგომლობა აღძრან სამეურნეო აკადემიის წინაშე მიიღონ იგი ამ აკადემიაში კრებამ მახათაძე თხოვნა მიიღო და დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სამეურნეო აკადემიის წინაშე.

დასასრულ განიხილეს სპეციალისტებისაგან შედგენილი და საბჭოსაგან დამტკიცებული სტატისტიკური ბლანკების დამატებითი ფურცლები, და დაადგინეს: დაიბეჭდოს ქართულათ და რუსულათ და დაეგზავნოთ ინსტრუქტორებს.

კრება დაიხურა $10^1/_2$ საათზე.

ასე ეგონათ.

რუსის „მოქალაქეთ", ამ მსოფლიო უბედურების შემდეგ, რუსეთი ძველ აზიურ ჭუჭყთაგან სრულიად გაწმენდილად, განახლებულად და ცხოვრების ახალ გზაზე დამდგარ ქვეყანად წარმოედგინათ...

ინტელიგენციის უმეტესობა ომის წარმოებაში მმართველ წრეებს სრულიად უკრიტიკოდ მისდევდა უკან და იმ მთავრობასთან, რომელიც იძახოდა „სტამბოლ სრუტეები და სომხეთი ჩვენ უნდა დაგვრჩესო, აქ გულუბრყვილო ინტელიგენცია იმეორებდა: „დღეს ჩვენ სისხლს დავღვრით. მოძმე სლავიანებს გავათავისუფლებთ, სამაგიეროთ ხვალ რუსეთში დიდი ხნის სასურველი ნანატრი თავისუფალი მოქალაქობრივი ცხოვრება დამყარდება, რის მეტიც ჩვენ [illegible] რიაო". გულუბრყვილო რუსეთის ჭეშმარიტ ინტელიგენციის სიხარულს არც „ინოროდცები" ჩამორჩენ. ესენი ყოველდღე აღფრთოვანებით ამბობდენ: მოაღწია დრომ დაჩაგრულ პატარა ერთვნებათა თავისუფლად ამოსუნთქვისამ და მერე „ამ თავისუფლად" ამოსუნთქვის წყალობას ისინი მოელოდენ რუსეთის ბიუროკრატიისგან და მმართველ წრეებისგან.

მაგრამ გადის ორი წელიწადი და აღფრთოვანება-სიხარულსაც თანდათან ფასი ეკარგება.

მსოფლიო ტრაღედიის წარმოების ორი წლის შემდეგ ბიუროკრატია თითქოს მოიქანცა და ამიტომ თავდარიგსაც შეუდგა.

ბიუროკრატიას არ დავიწყნია ის დღეები, როდესაც მას რუსეთის ხალხმა და ინტელიგენციამ მხარი დაუმშვენა და სამაგიეროდ რუსეთის ცხოვრებაში საჭირო ცვლილებათა შეტანა მოსთხოვა. კარგად ახსოვს ისიც, რომ მან (ბიუროკრატიამ) როგორ დაუზარებლად გასცა ომის დაწყებისას თამასუქები. აი, დღეს სწორედ აგონდება ამ თამასუქების განაღდების დღის მოახლოვება, თავბრუ ესხმის და უკვე თავდარიგს უდგება.

ბიუროკრატიას „სათადარიგო" მოქმედებაში დღესაც მხარს უმშვენებენ ეგრეთწოდებული რუსეთის ლიბერალები და კადეტები.

ბიუროკრატიამ შეიმუშავა გეგმა დასტური დასცეს მისმა ერთგულმა ლიბერალ-კადეტებმა და ყოფილმა ოქტომბრისტებმა.

ბიუროკრატიის პირველი ნაბიჯები ჩვენთვის უკვე ცნობილია.

მაგრამ აქ შევეხოთ ერთ ფაქტს. რუსეთში გადასწყდა საპოლიციო სამინისტროს ცალკე დაარსება, სჟანდარმთა კორპუსის რეორგანიზაცია უნდა მოხდეს.

მკითხველს იქნებ ეგონოს, რომ ეს ზომა გამოიწვია პოლიციის საქმეთა სასურველად დაყენების სურვილმა, მაგრამ არა.

აღსანიშნავია, აგრეთვე ერთი გარემოება.

ამას წინად უცხოეთში გაემგზავრენ რუსეთის „პარლამენტარიები , და, სხვათაშორის სტოკჰოლმსაც ესტუმრენ. აქ ერთ შვედთან საუბრის დროს პროტოპოპოვს და ცნობილ მილიუკოვს ხალხის სახელით განუცხადებიათ: „რუსეთში არავითარი სიძნელე არ შეუქნია ომს, ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობს, ხალხი სრულიად კმაყოფილია არსებულ მდგომარეობით რუსეთის ბევრ ადგილას მცხოვრებლებმა არც კი იციან ომი სწარმოებს თუ არა, რუსეთის ხალხი სრულიად უკრიტკოდ მიყვება მთავრობას და იგი არავითარ ცვლილებას არ ითხოვს და არ ელის. ომის შემდეგ რუსეთში არავითარი ცვლილება და რევოლიუცია არ არის მოსალოდნელიო.

როდესაც შვედელი რუსეთის დაჩაგრულ ეროვნებათა საკითხს შეეხო, აქ მოლიუკომა თავი წამოყო და განაცხადა, თავისუფლება სლავიანებს და ავსტრიის ერებს, მაგრამ შვეციელი დაინტერესებული იყო თურმე თვით რუსეთის ერთა საკითხით და ამიტომ იკითხა, რა მოელის ფინლიანდიის კონსტიტუციასო. აქ მილიუკომა განუცხადა, რუსეთის ერთა თავისუფლების საკითხი ჩვენს პროგრამაში არ სწერია, რადგან თავისუფლებას, რუსეთის ერები არ ითხოვენ და ფინლიანდიის კონსტიტუციაც აღდგენილი არ იქნება, რადგან ფინლიანდიის შესანარჩუნებლად მისი ახლანდელი ყოფა გვიჯობსო".

აი, ეს განუცხადეს რუსეთის ხალხის, თუ ბიროკრატიის წარმომადგენლებმა ევროპის გაზეთის თანამშრომელს...

ეს გვესმის „ლიბერალ კადეტის" პარლამენტარიებისგან, მხოლოდ ბიუროკრატიისგან მეტს ხეირს უნდა მოველოდეთ. მილიუკოვი აბუჩად იგდებს ფინლიანდელებს, არაფერს ანიჭებს მათ, მხოლოდ განა რამეს უწყალობებს ფინლიანდიაზე უფრო უძლურ უფლება აყრილ სხვა ერებს?

რასაკვირველია, არაფერს. ბიუროკრატია და ლიბერალ-კადეტები შეერთდენ ძველ ,,სტატუსქვოს'' შესანარჩუნებლად.

რუსეთის ინტელიგენციის იმედები გაცრუვდა...

ი. იმერელი.

გეგუთის ციხე.

უბრალო, მამა-პაპისაგან დატოვებული, ძველი ნივთის ნახვა თუ სიამოვნებას გვრის ადამიანს, რამდენათ უფრო სასიამოვნო უნდა იყოს ისეთი ისტორიული ნაშთის ხილვა, [რომელიც მთელი ერის კულტურულსა და სულიერ გამოხატულებას შეადგენს? ასეთი ისტორიული ნაშთის ნახვას, დამკვირვე ადამიანი, ცხოვრების იმ ხანაში გადაყავს, რომელშიაც ამ ნაშთის სულის ჩამდგმელნი იყვნენ. ამ რიგად აღადგენს რა მათთან გონებრივ კავშირს იზიარებს მათ ტანჯვა-წვალებას, ჭირსა და ლხინს და ტკბება თავის წინაპრების კულტურული სიდიადით. ჩვენ ტანჯულ პატარა ქვეყანას ბევრი ასეთი ისტორიული ნაშთი მოეძებნება. ეს ნაშთები, როგორც იქნა, მცირეოდნად მაინც გადარჩენ, დღეს, ჩვენის მოუვლელობისა და დაუდევრობის გამო სრულიად ისპობიან. მართალია, ჩვენი ეთნოგრაფიული საზოგადოებები ენერგიულად მუშაობენ მათი დაცვისათვის, მაგრამ მათ თუ ამ საქმეში საზოგადოებაც არ დაეხმარა, მარტო ისინი ვერაფერს ვერ გახდებიან. საჭიროა ფართო მასამ შეიგნოს ისტორიული ნაშთების მნიშვნელობა და მათი მოვლა-პატრონობისათვის იზრუნოს.

ერთი, თითქმის ყველასაგან მივიწყებული და უპატრონოთ მიტოვებული, ისტორიული ნაშთი გეგუთის დიდებული ციხეა თავის ძველებური ტაძრით. მიუხედავათ იმისა, რომ ეს, ჩვენი ბრწყინვალე თამარის სარეზიდენციო ადგილი, ქ. ქუთაისს სულ რამოდენიმე ვერსით შორავს, უპატრონოთ დატოვებულია. იქვე, ციხის გვერდით, მდგომ ძველებურ ტაძარს გარეთ საპირე ჩუქურთმიანი ქვები, როგორც კედლებზე, აგრეთვე ყურეებში, ჩამოცლილი აქვს; ზოგი იქვეა გაფანტული, ზოგიც ბოროტი ხელისაგან არის წაღებული! ტაძრის შიგნივ დიდი უსუფთაობაა. ერთს დროს, სადაც საღმრთო წირვა-ლოცვა სრულდებოდა და მლოცველები კრძალულებით იდგნენ, დღეს აქ იმას ვხედავთ რაც ენით არ ითქმის. კედლებზე წმინდანების ნახატები ჩამოფხეკილი და შეთხუპნილია. ჩრდილოეთით კედლებზე დარჩენილი ხუცური წარწერა, ჩემისთანა მომაკვდავი ადამიანებისათვის ძალზე ავი ამოსაკითხავია და სპეციალისტისათვის კი ადვილია.

ტაძარი თუ ამისთანა სამწუხარო მდგომარეობაშია, უკეთეს მდგომარეობაში არც თვით ციხეა. ციხეს, რომელიც თითქმის მთლად აგურისაგან არის აშენებული, ალაგ-ალაგ ახალი გამონგრეული აქვს კედელი.

დროა, გამოვიღვიძოთ და ჩვენი ოჯახის მოვლას შევუდგეთ.

მ. ბუაჩიძე.

საჩხერის თეატრის კურთხევა.

26 ივნისს 1916 წ. საჩხერელ მცხოვრებლებთა შორის სახსოვარ დღეთ დარჩება.

ამ დღეს აქ აკურთხეს თეატრი. დილიდან დაწყებული ახლო-მახლო სოფლებიდან, იწყო დენა ხალხმა. გამოცხადებული იყო, რომ კურთხევა დილის 12 საათზე დაიწყებაო. ნათქვამი იყო, რომ რეფერატს თეატრის მნიშვნელობაზე წაიკითხავს ცნობილი ლექტორი გრ. გიორგაძე, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. გ. გიორგაძე ავადმყოფობის გამო ვერ მოვიდა და კურთხევაც საღამოსთვის გადაიდვა.

საღამოს 8 საათზე თეატრის დარბაზი ხალხით აივსო.

სობოროს მღვდ. ს. მაჭარაშვილმა კურთხევის შემდეგ მხურვალე სიტყვით მიულოცა საჩხერლებს თეატრის კურთხევა.

მღვდ. მაჭარაშვილის შემდეგ ილაპარაკა საჩხერის სცენის მოყვარეთა წრის რწმომადგენელმა ქ-ნმა ანეტა იურკევიჩის ქალმა. მისი სიტყვა გულწრფელი და მგრძნობიარე იყო. ხალხმა ის მხურვალე ტაშისცემით დააჯილდოვა.

შემდეგ ილაპარაკა არგვეთის საზოგადოების წარმომადგენელმა ბ-ნმა მიხ. მაჭარაშვილმა.

მის შემდეგ ილაპარაკა შალიკო ხვადაგუნელმა, რომელიც მოკლეთ შეეხო საჩხერის თეატრის ისტორიას.

ამის შემდეგ ილაპარაკა მ. ვეშაპიძემ, რომელმაც სთქვა: თეატრი ერის ტაძარია მსახიობნი—ქურუმნი და პიესა კი ლოცვააო. ამიტომ ჩვენისთანა პატარა ერში თეატრის გამარჯვება ეს ეროვნული გრძნობისა და კულტურის გამარჯვებააო.

ვეშაპიძის შემდეგ სიტყვა სთქვა სახალხო მასწავლებელმა ნ. ქამუშაძემ. მისმა მჭერმეტყველობამ ხალხში აღტაცება გამოიწვია.

ქამუშაძის შემდეგ წაკითხულ იქნა დეპეშა ქიათურიდან—და ამ დეპეშის წაკითხვით დასრულდა კურთხევის ცერემონია.

მცირე ანტრაქტის შემდეგ დაიწყო წარმოდგენა. წარმოადგინეს „სამშობლო“.

საჭირო იყო ასეთი ისტორიული პიესის წარმოდგენისთვის თეატრის გამგეობას მოეწვია მსახიობნი. ადგილობრივი ძალებით „სამშობლოს“ წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა.

კიდევ შეიძლებოდა წარმოდგენას კარგათ ჩაევლო, რომ როლები მოთამაშეთა შორის შესაფერად ყოფილიყო განაწილებული საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ არც ერთი მოთამაშე თავის ადგილას არ იყო, რამაც წარმოდგენის მთლიანობას ხელი შეუშალა. ხალხი წარმოდგენას ბევრი დაესწრო. მიუხედავად ასეთი დაბრკოლებისა წარმოდგენამ დამსწრე საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

მ. საირხელი.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. გოდოგანი. (ქუთ. მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს ქუთაისიდან 7—8 ვერსის მანძილზე. მას გარშემო აკრავს კარგა მოზდილი სოფლები: გელათი, მოწამეთა, ჭოგნარი და ნაგარევი. მოსახლეობს დაახლოვებით 260 კომლამდი, სოფელი იყოფა ორ დიდ ნაწილათ: გაღმაგამოღმა გოდოგნათ, გამოღმა გოდოგანი უფრო ქუთაის აკრავს და აქაური მცხოვრები გლეხ-კაცობა ქალაქს ეტანება სამუდამოთ თავისი ხარ კამეჩით. დედაკაცები—კი საშინაო საქმეებს აკეთებენ და კვირა უქმე დღეს ბაზარში ეზიდებიან სხვა და სხვა სანოვაგეს გასაყიდლათ.

გაღმა გოდოგანის მცხოვრებნი უმთავრესად ხვნა თესვას მისდევს, ქალაქის სიახლოვეს მასზე გავლენა ვერ მოუხდენია ჯერ-ჯერობით. ამ ბოლო დროს ხელი მოჰკიდეს საქონლის მოშენებასაც, რაიც მათ დიდ სარგებლობასაც აძლევს. შეუდგენ აგრეთვე ვაზისა და ხეხილის მოშენებას. ნივთიერის მხრით ყველა გარშემორტყმულ სოფლებზე დაბლა სდგას. ხალხი მეტ წილათ ღარიბათ ცხოვრობს. ისინი სულ ვერ სარგებლობენ ქალაქის სიახლოვით და მისი ბაზრის მოთხოვნილებით, საამისოთ არ მოეპოვებათ რიგიანი გზა და არც ის სანოვაგე, რომელსაც დიდი მოთხოვნილება აქვს ქალაქში.

ამ ბოლო დროს ზოგიერთმა ალღო აუღო ამ მოთხოვნილებას და შეუდგა შინაურ ფრინველების მოშენებას, რაც კარგ შემოსავალს აძლევს მათ.

კულტურულის მხრით ეს სოფელი ჩამორჩენილია, ამხელა სოფელში ერთკლასიანი სკოლაც კი არ მოიპოება. სხვა კულტურულ დაწესებულებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

ამ უმაგალითო ომმა ყველა გამოაფხიზლა, ყველა დაირაზმა სიძვირესთან საბრძოლველად, დაიარსეს საკრედიტო, მომხმარებელი ამხანაგობები, კოოპერატივები და აქ კი არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ დაწესებულების დაარსებას ადგილობრივი სულიერი მამა და ახალგაზდა მოინტელიგენტე პირები, თორემ რომ მათ თაოსნობა გაეწიათ, უეჭველია, ერთ-ერთი ამ დაწესებულებათაგანი მაინც დაარსდებოდა.

საჭიროა ახლა მაინც გაუწიონ ხალხს მეთაურობა ამ სოფლისავე ნასწავლმა შვილებმა, თორემ მარტო სიტყვა ვერაფერს შველის ხალხის წყლულს. სამკალი ბევრია ამ სოფლად, მაგრამ მომკელინი კი ცოტა. ხალხი ელოდება ასეთ მომკელებს.

შეუპოვარი.

ქ. ქ. ალმანახის გამოცემის დასამარება.

ქ. „საზოგადოების“ სარედაქციო კოლეგიამ ფორმალურად შეასრულა ალმანახის დასამარების საქმე და გამგეობამაც უკვე დაამტკიცა ეს დასამარება.

ალმანახი აღარ გამოვა, ეს ვიცოდით ჩვენ იმ დღიდანვე, რა დღესაც „სამშობლოში“ მოთავსებული იყო უცვლელ სიმართლეს მოკლებული ქ. „მეორე წევრის“ პასუხი (იძულებითი განმარტების გამო) ვიცოდით, რადგან იმ პასუხის შემდეგ მასალების ავტორებმა უკან დაბრუნება მოითხოვეს თავიანთი ნაწარმოების.

ყოველი კეთილი და სასარგებლო საქმე ასე ბოლოვდება ჩვენში. ქალებმაც ყოველ მოღვაწის გადაჭარბებს და ეს ქ ლებისათვის დიდმნიშვნელოვანი საქმე თითონვე დაასამარეს.

დღემდის ჩვენ ვსდუმდით ალმანახის ისტორიაზე და „მეორე წევრის“ პასუხზე, იძულებულნი ვართ დღესაც გავჩუმდეთ და არაფერი ვსთქვათ ჩვენი გასამართლებელი, არა იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი გვაქვს, არამედ გვაიძულებენ და ჩვენც ორ ბოროტებაში ერთს ვირჩევთ

ვსდუმვართ..

და ჩვენი სიმართლის დასამტკიცებელ საბუთებს ვაბარებთ ქ. საზ. არხივს, შეიძლება ოდესმე ელირსოს ამ ნაშრომს ობიექტიური მსაჯულისაგან გადათვალიერება და ღირსეული მსჯავრი დასდოს იმ „მოღვაწეთ“, რომლის მიზეზით მოისპო ეს პირველი ნაბიჯი ქართველ ქალების მიერ გადადგმული.

მიუხედავათ ზემო თქმულისა, ჩვენ ვალდებული ვართ საზოგადოებისა და იმ პატივცემულ ავტორთა წინაშე, რომლებმაც კეთილ ინებეს და თანაგრძნობა გამოგვიცხადეს, როგორც მასალების მოწოდებით, ისე ყოველივე დახმარებით, ვაცნობოთ მათ მოკლედ მაინც ალმანახის მოსპობის ისტორია და მადლობა შევსწიროთ მათ თანაგრძნობისათვის.

თავიდანვე ალმანახის გამოცემას მტრულად შეხვდა გამგეობის ორი წევრი: „მეორე წევრი“ და მისი დამხმარე. აღსანიშნავია ისიც, რომ ქ-ნი „დამხმარე“ ვალდებულად რაცხს თავის თავს ყოველს კეთილ და ხალხისათვის სასარგებლო დასაწყისის წინააღმდეგ გალაშქროს*), თუ ის სარედაქციო სექციის მიერ იქნება დაწყებული და წარმოდგენილი გამგეობაში.

ეს ორი წევრი ერთი მეორეს დამატებაა, რაც სურს ერთს, ის უეცილებლათ ესურვება მეორეს ამ ორ ქ. ნ-ს, რომ თავისი გეგმა ნათ არავითარ არა საკადრისს საშუალებას არ დაერიდენ და „გაიმარჯვეს“ კიდეც, თუ ამას გამარჯვება ჰქვიან.

ამით ისინი დიდი კმაყოფილი არიან და ამბობენ კიდეც, რადგან თავიდანვე მათ მიერ თქმული შესრულეს და მიზანს მიაღწიეს.

განა სასაცილო არ არის ასეთი „ძლიერი“ ნების ქონა, ნახევარი წლის ნამუშევარი, ათასჯერ გადაწყვეტილი და ოქმში შეტანილი, მზა მზარეული საქმე ერთმა, ან ორმა დაარღვიოს და გააუქმოს?

დიახაც, რომ სასაცილოა!

ყოველი კარგი საქმის დამხობა ინტრიგანობა-ცილის წამებით ხდება ჩვენში, ჩვენთანაც ასე მოხდა გაიმარჯვა გეროსტრატიზმმა და ეს მშვენიერი მიზანი სამარცხვინოდ დამთავრდა.

თავიანთი მიზნის მისაღწევათ ქ ორმა წევრმა, როგორც საზ. უწყის, სხვათა შორის, გაზეთის ფურცლებზედაც გადაიტანეს ცილის წამება და ამით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანეს, რითაც ალმანახისთვის მასალების მიღების საშუალება მოგვისპეს, ვიმეორებთ, მათმა ბოროტმა განზრახვამ ის „მშვენიერი“ ნაყოფი მოიტანა, რომ პატივცემულმა ავტორმა გამოგზავნილი მასალა უკან მოითხოვეს და გამოსაგზავნი კი აღარ გამოგვიგზავნა.

ამ რიგად, გამოცემა შეუძლებელი შეიქნა და ეს შეუძლებლობა გამგეობამ ლამაზი ფორმით მოათავსა ქ. „საზოგადოების“ სათაოქმო დავთარში.

ამით დათავდა ამდენი ხნის შრომა. ჯერჯერობით ჩვენ ყველა იმ ცილის წამებაზე, რაც მოათავსეს გაზეთში, თუ ისე, მხოლოდ შემდეგი შეგვიძლია ვსთქვათ: ცარიელი სიტყვები არაფერს არ ამტკიცებს საქმით დაინტერესებულ პირთ ვსთხოვთ მობძანდენ გამგეობაში და გადაათვალიერონ მთელი წლის ჩვენი ნამუშევარი, (თუკი რამ მუშაობა შეიძლებოდა იმ მოწამლულ ატმოსფერაში, რომელიც შექმნეს ხსენებულმა წევრებმა.) როგორც ალმანახის, ისე დანარჩენ ჩვენ ნაშრომში თუ „საზოგადოების“ სავნებელი ცალმხრივი და არა სასარგებლო რამ აღმოჩნდება, ჩვენ მზათ ვართ უოველგვარი სასჯელის მისაღებად დრომდი მეტს არას ვამბობთ.

ქ. საზ. კოლეგიის ერთი წევრი.

რუსეთი.

ჩრდილოეთის გუბერნიების გუბერნატორების თათბირის მოწვევა 1 აგვისტომდე გადასდევეს ამის მიზეზათ შინაგან საქმეთა მინისტრის მოუცლელობას ასახელებენ.

— —

საქციონერო წარმოებაში ებრაელები წინანდებურათ შეზღუდული იქნებიან.

— —

მთავრობამ იმპერიაში „სავალდებულო ექიმობა“ შემოიღო.

— —

მიწად-მოქმედების მინისტრი ნაუმოვი დიდათ მადლიერი ყოფილა საზოგადო ორგანიზაციების მუშაობით. მინისტრს უკვირს, რომ რუსეთის მმართველი წრეები ასე უნდობლად უყურებენ საზოგადო ორგანიზაციებს.

— —

მონარქისტთა ყრილობის მოწვევა რამდენიმე თვით გადაიდვა.

— —

გზათა მიმოსვლის სამინისტრომ გადასწყვიტა რეფორმა მოახდინოს სატეხნიკო სასწავლებლებში. ყოველ ტეხნიკურ სასწავლებლებში მოწაფეთა რიცხვი 20 პროც. უნდა გადიდდეს.

— —

ქ. პეტროგრადში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ექიმი დ. პერცენშტეინი. განსვენებულს ბევრი ნაწერი ჰქონდა მედიცინის შესახებ.

ექიმ პერცენშტეინს დაწერილი აქვს აგრეთვე წიგნი, სადაც მოთხრობილია 905 წ. ამბები—„195-თა პროცესი“.

უცხოეთი.

ჰოლანდიის სამთავრომ დაატუსაღა რამდენიმე გერმანელი ქალი. იგინი თურმე საქმროების საძებნელად იყვნენ გამოპარულნი

— —

კანადის ხაზინას ომის დაწყებიდან ქალაღდის ვაჭრობით 360000 გირვანქა სტერლინგი მოუგია.

— —

ბრეტანში გასათხოვარი ქალები იცმენ სხვადასხვა ფერის ზოლებიან კაბას. თეთრი ზოლი ნიშნავს, რომ ქალი 100 ფრანკ ვერცხლად ღირს, ხოლო ყვითელი ზოლი—ათას ფრანკ ოქროთ.

— —

ერთი ფრანგული გაზეთი სწერს: დღევანდელი სიძვირე უმეტეს წილათ „მოდის“ მიმდევარმა ქალებმა შექმნეს. პარიზში ამ ბოლო ხანს [illegible] საცმელს და როცა [illegible], ისინი ასე გიპასუხებენ „[illegible]“ გვეღირსება და ამ ლამაზ-ლამაზ კოხტა ტანსაცმელს მაინც ხშირ-ხშირად გამოვიცვლითო.

— —

ლონდონში უნდა მოხდეს შეთანხმების სახელმწიფოს მუშათა წარმომადგენლების თათბირი.

— —

აჯანყებულ არაბების დასასოშმინებლად ოსმალებს გერმანელი დიპლომატები გაუგზავნიათ. დიპლომატებს თან დიდძალი ოქრო და ვილჰელმის ორდენები წაუღიათ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ქ. ქ. საზოგადოების გამგეობა გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ: ქ. ქ. ოლიმპიადა (დიპა) ლადიძისას, მარიამ კოხრეიძისას და კოწია წერეთლის ასულს, რომლებმაც „საზოგადოების“ მომავალ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შემოსწირეს: პირველმა, ხუთი მანეთის წიგნები, მეორემ და მესამემ რამდენიმე რუსულ ქართული წიგნები.

ქ. ქ. საზ. გამგეობა.

— —

განსვენებულ ანა ბეგლარის ასულის დორთქიფანიძის ხსოვნის აღსანიშნავად მისმა მეგობრებმა ნაცვლად გვირგვინისა გაგზავნეს დიდ ჯიხაიშის ბიბლიოთეკაში რამდენიმე ასეული ქართული წიგნებისა სულ 132 მან.

წიგნების სია თვით დიდ ჯიხაიშის წიგნსაცავის კომიტეტისაგან იყო წარმოდგენილი. წიგნების გზავნა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზის გამო დაგვიანდა.

ქალთა ერთი ჯგუფის მინდობილობით
მელანია გვედესიანისა.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასევაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვილს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

* * *

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.

---

*) მსურველს შეუძლია ოქმების გადათვალიერება, სიმართლის დასამტკიცებლად, სადაც აღნიშნულია ქალბ. დამხმარეს გალაშქრება: ალმანახის, საბავშო კითხვების და სხვ. წინააღმდეგ.